ეროვნული ბიბლიოთეკა

მწყემსი

მე ვარ მწყემსი კეთილი: მწყემსმან კეთილმან სული თვისი დაჰსდვის ცხოვართათვის. იოან. 10—11.

ვპოვე ცხოვარი ჩემი წაწყმედული. მსრეთ იყოს სიხარული ცათა შინა, ერთისათვის ცოდვილისა. ლუკ. 15—4.

მოვედით ჩემდა ყოველნი მაშურალნი და ტვირთ-მძიმენი და მე განგისვენოთ თქვენ. მათ. 11—28.

№ 11 1883—1900 15 ივნისი

ზოგიერთ ჩვენ მოძმეთა საყურადღებოდ.

ოველთვის მზად არის ქურნალი „მწყემსი“, შეძლებისადაგვარად, ხელი შეუწყოს და დაეხმაროს სულიერ მწყემსთა მათ დიდ და მძიმე თანამდებობის აღსრულების საქმეში. მზად არის ჰასუხი გასცეს ყველა იმათ, რომელნიც, ასე თუ ისე, სამღვდელოების საჰსურს ამცირებენ და მათ დიდ ღვაწლს უმნიშვნელოდ ხადიან. მაგრამ ამავე დროს თუ ქურნალი სულიერ მწყემსთა შორის ხედავს არა ჯეროვან საქციელს, იგი არასოდეს არ დაფარავს ხოგ მწყემსთაგან ჩადენილს ცუდს საქციელსაც. დარწმუნებული ვართ, რომ ნაგლულევანების გამოაშკარავება საქმეს არასოდეს ვნებას არ მოუტანს, როგორც ამას ფიქრობენ ზოგიერთები...

ერთხელ ერთს მიტროპოლიტს ჩვენ მოვახსენეთ: „საქართველოს ეკკლესია უმჯობეს მდგომარეობაში იყო ადა-მადომეტხანის თბილისში შემოსვლის დროს, ვინემ ესლა არის. მაშინ, მართალია, თბილისში ეკკლესიები დააქციეს, ვაანადგურეს და ბევრგან მღვდლებიც დახოცეს, მაგრამ ეს მოხდა მარტო ტფილისში და მის ახლო-მახლო, სხვაგან-კი

ეკლესიებში ყველაფერი თავის წესზე მიდიოდა, დღეს ეკლესიები წირვა-ლოცვის დროს უმეტესად ცარიელია და კვირა-უქმე დღეებში ხალხი სულ სხვა ადგილას იერის თავს და სხვა საქმეს ეწევა. ჯერ არ ეოფილა ისეთი დრო, რომ სინოდში ეველა მიტროპოლიტები ჩვენში ექსარხოსად ნამეოფი ეოფილიეენენ და, იმედია, ამ გარემოებამ ჩვენს საქმეს ხელი უნდა შეუწყოს"... მან გვიბრძანა: «რა უნდა Ჭქმნას სინოდმა, თუ თვითონ სამღვდელოებაც არ ეცდება თავისი მხრით». ᲭᲔᲨᲛᲐᲠᲘᲢᲐᲓ ვის რა შეუძლია, თუ თვითონ სამღვდელოება არ ეცდება თავის საქმეს? ეხლა ვიკითხოთ, ვმაცადინობთ რამეს? არის ჩვენში ერთობა საზოგადო საქმის გაკეთებისათვის? არის ჩვენში ძმური სიყვარული, ის სიყვარული, რომელიც მაცხოვრმა გვიანდერძა? რა საშუალებას ᲭᲛᲐᲠᲝᲑᲗ ჩვენ, რომ დაუმტკიცოთ ჩვენს სამწყსოთა ერთგულება, სიყვარული და ითვდაღებული სამსახური? რამდენად შეგვითვისებია მაცხოვრის სიტყვები: »თქვენ ხართ მარილი სოფლისა"... ვართ თუ არა მაგალითი ჩვენ სამწყსოთათვის სიტყვით, საქმით და ცხოვრებით? აი კითხვები, რომლებზედაც, ჩვენის აზრით, ეველა ღრმად უნდა დაფიქრდეს და გასცეს პასუხი. ᲗᲥᲝ კითხვების განმარტება და მათზე პასუხის გაცემა თვით მწყემსთათვის მიგვინდვია. უკანასკნელი კითხვის შესახებ არ შეგვიძლია არ შევნიშნოთ, რომ ზოგიერთ ადგილას ზოგიერთი ჩვენი თანამოძმენი ძლიერ ცუდს მაგალითს უჩვენებენ სამწყსოთა. აი მაგალითები. წირვის დაწყების წინ ზარების რეკა გათავდა. წირვა სრულდება ქალაქში ან დაბაში. ამ დროს მღვდელი დიდის ბაზარში, ვაჭრობს და შეექცევა ისეთ უმნიშვნელო საუბარს, როგორც სხვა ბაზრის ხალხი. ზოგიერთი ამის ჩამდენ ჩვენი მღვდლები თავს მართლულობენ მით, რომ იგინი შტატ გარეთად ირიცხებიან ან მით, რომ იგინი სკოლების მეთვალეურნი, თანამდებობას ასრულებენ! ამისთანა თავის გამართლება სრულებით უადგილოა და ამის ჩამდენი სასულიერო ᲰᲘᲠᲘ არა თუ კეთილ ცხოვრების მაგალითის მაჩვენებელია სამწყსოთათვის, არამედ ეოვლად მავნებელი წევრი ᲬᲜᲔᲝᲑᲘᲗᲘᲡ მხრით...

მღვდელი მიპატიჟებულია სადმე ოჯახში ბავშის მოსანათლავად, შესრულდა ნათლისღება. მასპინძელი სთხოვს მოძღვარს, რომ ვახშმად დარჩეს, მოძღვარი სათრს არ უტეხს და რჩება. ᲕᲐᲮᲨᲐᲛᲘ გრძელდება ორ-სამ საათამდე ნაშუადამევისა. სხვა სტუმრებთან ერთად მღვდელიც დროს ატარებს სუფრასზე. ᲜᲣ დაივიწყებთ, რომ მეორე დღე კვირაა და მღვდელი მწირველია, ᲜᲣ თუ ამისთანა მაგალითი მოძღვრისა ცუდ გავლენას არ იქონიებს ხალხზე, რომელსაც ცისკრის შესრულების შემდეგ საღამოიდან წელის დალევაც ცოდვად მიაჩნია მასთვის, ვისაც მეორე დღეს ზიარება უნდა...

ᲡᲔᲓᲐᲕ, რომ რკინის გზის სადგურებზე აუარებელი ხალხი არის თავმოყრილი. ზოგიმიდის, ზოგი მოდის, ზოგი ნაცნობებს გაჰყოლია და ტეუილ-უბრალო ცნობის-მოყვარეობისათვის იეურება აქეთ-იქით. აგერ გამოჩენილ ადგილას სდგას მღვდელი, ᲰᲘᲠᲨᲘ ᲰᲐᲰᲘᲠᲝᲜᲘ აქვს ან ეალიონი, კოსტად მოჭიდილი და დიდის სიამოვნებით უშვებს ᲰᲘᲠᲘᲓᲐᲜ ბოლს. რა შთაბეჭდილება უნდა მოახდინოს მღვდლის ამნაირმა საქციელმა ხალხზე? ᲜᲣ თუ მღვდელიც ისე დამონებული უნდა იეოს იმისთანა უადგილო, უმნიშვნელო და

ცუდი ნდომისა და გულისთქმისაგან, როგორც უბრალო ერის კაცი?...

აი, მიდის თავის მოძღვართან მოწაფე და სთხოვს მეტრიკულ გამოწერილობას, ანუ გვირგვინის კურთხევის მოწმობას. მოძღვარი ჰირდება მოწმობის მიცემას, მაგრამ მისგან თხოვილობს მოწმობის მიცემისთვის საშრომს აო შაურს ან მანეთს და ოთხ აბაზიან მარკას. მოწაფე თანხმდება და ეუბნება: „რაც კანონით არის გარდაუვეტილი, რასაკვირველია, მოგართმევთ, მამაო, ოღონდ კი მალე მიბოძეთ, დრო არა მაქვს, შენი ჭირიმე და ეხლავე მიბოძეთ“. მოძღვარი ეუბნება: ‹კარგი, შვილო, მომიტანე მოწმობის ბლანკი და ეხლავე მოგცემ მოწმობას.—სად ვიშოვო, მამაო, ეგ რადაცა მოწმობის ბლანკია, მე არ ვიცი, სად იშოვება იგი. მოძღვარი მიუთითებს რომელიმე ქალაქს ან, რომელიმე ჰირზე, სადაც იყიდება ამისთანა ბლანკები. მთხოვნელიც მიდის ქალაქში ან რომელიმე ჰირთან და ყიდულობს ამ შოთხოვნილ ბლანკს თითო ცალს ორ კაპეიკად და ხანდისხან თითო შაურადაც.

ჩვენთან და ჩვენს სტამბაში ხშირად მოსულან მოძღვრისაგან გამოგზავნილნი კაცები და ისიც კარგა შორე ადგილიდან ამისთანა ბლანკის საყიდლად. როდესაც გამოგვიკითხავს ბლანკის მყიდველისათვის მანძილის სიშორე, საიდანაც ისინი მოსულან და ისიც, რომ ზოგიერთ მღვდლებს ამისთანა ბლანკების მიტანა სავალდებულოდ გაუხდიათ მოწაფისათვის, გავკვირვებულვართ ამ მოძღვართა საქციელით... საშრომს იღებ 50 კაპეიკიდან მანეთამდე და არ გსურს, რომ ნასყვარი კაპიკის ქაღალდი დახარჯო, ან ერთი კაპიკის ბლანკი თვითონ შენ იყიდო და მზად გქონდეს, რადგან შენ სარ ვალდებული ეს ბლანკი მოიპოვო და არა შენი მოწაფე. სად არის აქ მამაშვილური განწყობილება მოძღვარ-მოწაფეთა შორის?..

არის ამნაირი შემთხვევაც. მოწაფე მიდის მოძღვართან გვირგვინის კურთხევის მოწმობის სათხოვნელად. მოძღვარი უწერს მოწმობას ძველებურად, შოწმობაში ორიოდე ცნობა არის მოუვნილი და ბოლოს გარეგვეთ სწერია: „ჩემის მხრით დამაბრკოლებელი მიზეზი არა არის-რა». მოწაფეს მიაქვს ეს მოწმობა და დაიმედებულია, რომ ამ მოწმობას მას არავინ დაუწუნებს*). გვირგვინის მაკურთხეველი მღვდელი არ ღებულობს ამ მოწმობას, როგორც უვარგისს. სასიძო ეუბნება: „მამაო, რატომ არ ვარგა ეგ მოწმობა, დაწერილი კარგად არის, ოთხ-აბაზიანი მარკა მიმიტანია, მანეთი დასაწერი მივეცი და ბეჭედი კარგად არის დასმული და რაღა აკლია? არა, აქ სხვა რამეა მიზეზი უთუოდ..—„არა, შვილო“, ეუბნება მღვდელი: ამ მოწმობაში არ სწერია სამკზითი გამოცხადება და არც ის არის, დედამამა თანასმა არის თუ არა... მოძღვარი სრულებით მართალია, მაგრამ სასიძო რა დამნაშავეა, რომ მისმა მოძღვარმა რიგიანი მოწმობის მიცემა არ იცოდეს. მოხდება ხშირად, რომ მოძღვარი შეუძლებლად რაცხს ზოგიერთ ჰირთა ზედ გვირგვინის კურთხევის მესრულებას. დანამდვილებით კი არ იცის, მართლა არის თუ არა მათ შორის დამაბრკოლებელი მიზეზი და ეუბნება:

*) ამ დღეებში ჩვენ მოგვიტანა ერთმა სასიძომ ერთი ადგილობითი ბლადოჩინისაგან მიცემული მოწმობა გვირგვინის კურთხევის შესახებ. ამ მოწმობით გვირგვინის კურთხევა შეუძლებელი იყო, რომ თვითონ ჩვენ არ გვცოდნოდა დასხდომითი სასიძო და სასძლო. მერმე წარმოიდგინეთ, რომ არ მოწმობას აძლევდა ისეთი ბლადოჩინი, რომელიც დიდ ნასწავლ და გამოცდილ ჰირთა შორის იგდებს თავის თავს...

ეროვნული ბიბლიოთეკა

«მე არ შემიძლია, შეილო, მოწმობა მოგცე, ან გვირგვინი გიკურთხო. წადი, მღვდელმთავარს თხოვნა მიართვი და თუ მიბრძანებს გვირგვინის კურთხევის შესრულებას, მაშინ შეგისრულებ, ან მოწმობას მოგცემ“. მიდის საცოდავი კაცი თხოვნის მისაცემათ. რა სამძიმოა სიწყალი კაცისათვის ამ თხოვნის მიცემა და წასვლა გუბერნიის ქალაქს, რამდენ ხარჯს მოითხოვს ამ კაცისაგან თხოვნის მიცემა და მერმე მისი აღსრულების ეურეუტი, ეველას თვითონ კარგად შეუძლია გაიგოს უჩვენოთაც. ბოლოს გამოეცხადება, რომ დამაბრკოლებელი მიზეზი არა არის-რა და ამდენი წვალების შემდეგ ედირსება გვირგვინის კურთხევა.

შენ რომ შენი თანამდებობა კარგად არ გქონდეს შეგნებული და კანონები არ იცოდე, რა დამნაშავეა ამ შემთხვევაში მოწაფე? რატომ თვითონ შენ არ დადიხარ და არ კითხულობ, შეიძლება გვირგვინის კურთხევის შესრულება მსურველ ჰირთა ზედა თუ არა? რა ვალდებულია შენი მოწაფე, რომ შენი გაუგებრობა მან გამოარკვიოს და შეიტყოს ის, რაც შენ არ გაგიგია?..

არა, ჩემნო თანამოძმენო. დრო გამოიცვალა და სრულებით სხვას ითხოვენ ჩვენგან... ნიეთიერი მდგომარეობის გაუმჯობესობის მიხედვით ჩვენგანაც საქმის ცოდნას და თავის მოვალეობის მუეიათად აღსრულებასაც მეტს ითხოვენ. მართალია, ზემოდ ჩამოთვლილი მოძღვრების საქციელი არა ხშირია—იშვიათია, მაგრამ ერთის და ორის ამისთანა საქციელი მთელს სამღვდელოებას ჩირქსა სცხებს და სახელს უტეხს. ერთმა ქართველმა მღვდელმა, ვსთქვათ, ცუდი საქციელი ჩაიდინა და ამ ცუდმა საქციელმა სინოდამდე მიაღწია. როგორ ჭფიქრობთ? როდესაც საქართველოს სამღვდელოებაზე ჩამოვარდება ლაპარაკი, ძალაუნებურად ეს ცუდი საქციელი გაახსენდება ეველას. ამისათვის დროა ძმურად დავფიქრდეთ ეველანი, ერთად დავგმოთ ნაკლულევანება ჩვენ მოძმეთა და ჩვენვე ვიზრუნოთ მათ გასწორებაზე და ამით, მოციქულის სიტეეისაებრ, ეველამ ერთად ვიტვირთოთ ნაკლულევანება ჩვენ მოძმეთა.

დეკ. ლ. დამბაშამე.

კვრძო სამკურნალო სასლების (ქსენონების) გახსნის შესახებ სოფლებში და დაბებში.

აქადგბით შეგვიძლია ვსთქვათ, რომ არავის არ მიუქცევია იმდენი ყურადღება ჩვენი ხალხის ჯანმრთელობისათვის, რამდენსაც ჩვენ ვაქცევდით და დღესაც ვაქცევთ. არა ერთჯერ მოშზამული ჩვენი გული და სული ჩვენი საცოდავი ხალხის გაჭირვებული მდგომარეობისაგან სხვა და სხვა ავადმყოფობათა მიზეზით, რომელთაგან საწყალი სნეული ადვილად შეიძლება კაცმა გადაარჩინოს ქსენონების დაარსებით. ბევრს კიდევ იმედი აქვს, რომ ამისთანა ქსენონებს მართებლობა დაარსებს სახელმწიფო ხარჯითო, მაგრამ დიდი ხანი გაივლის კიდევ, სანამ მართებლობა სახელმწიფო ხარჯით ქსენონებს გამართავდეს. ამიტომ დრო არის თვით საზოგადოება შეუდგეს კერძო ქსენონების გახსნას აქა-იქ. დიდად შემცდარია ის ჩვენი საზოგადოება, რომელიც ფიქრობს, რომ აფთიაქები თუ გაიხსნა დაბებში და სოფლებში, მაშინ ქსენონები აღარ დაგვჭირდებაო. შემცდარია ის, ვინც ფიქრობს, რომ აფთიქარმა როგორც ზედმიწევნით იცის ყველა წამლების მომზადება, ისიც იცის,

ეროვნული ბიბლიოთეკა

თუ რომელი წამალი რომელი ავადმყოფობის წინააღმდეგ იხმარებაო. აფთიქარი წამალს მოამზადებს, თორემ რომელი წამალი უნდა მისცეს სნეულს, ეს მან არც იცის და არც უფლება აქვს ექიმის ურეცეპტოდ წამალი მისცეს გარდა სასაქმებელისა და ამისთანა უბრალო წამლებისა, რომელთა ხმარება დამოკიდებულია თვითონ მყიდველზე და სნეულზე.

შემცდარია საზოგადოება მაშინაც, როცა ფიქრობს, რომ ყოველს ფერშალს შეუძლია ექიმობა და ხშირადაც მას იწვევენ. არის ზოგიერთი სნეულება, რომელიც უექიმოთაც გაივლის და კაცი რჩება. თუ სნეული მძიმე ავადმყოფობით არის შეპყრობილი, ხშირად ამისთანა შემთხვევაში ფერშალი დიდი მავნებელია. მავნებელია მიტომ, რომ მას არ შეუძლია სნეულების გამოცნობა და მეტიჩრობით დაიწყებს ექიმობას. სნეული უარესად ხდება ავად და ექიმს მოიყვანენ სწორედ მაშინ, როცა დრო წასრულია და სნეულების განკურნება შეუძლებელი ხდება. ყველა ამისთანა უბედურებას და უსარგებლო ხარჯს აიცილებს საზოგადოებას კერძო ქსენონების გახსნა აქა-იქ. ამ კითხვის შესახებ ჩვენ ვბეჭდავთ „ივერიიდან“ ბ. ექიმ ვაშაკიძის სტატიას. იმედია სამოვდელოება ამ სტატიას წაუკითხავს ხალხს და შეაგონებს მათ, რომ შეუდგნენ კერძო ქსენონების გახსნას ჩვენს დაბებში და დიდ სოფლებში. შემდეგში ჩვენ კიდევ უფრო ვრცელ პროექტს დავბეჭდავთ ამ კითხვის შესახებ.

„რა დაუჯდება ქსენონი საზოგადოებას, რომელიც 1500 კომლისაგან შესდგება? 3000 მანეთზედ მეტი არა. ექიმს თვეში 100 მ., სულ წელიწადში 1200 მ., ორი ფერშალი დაჯდება წელიწადში 600 მ., ბებია-ქალი 300 მ., შეიძლება იშოვოს კაცმა ისეთი ქალი, რომელმაც ბებიობაც იცოდეს და ფერშლობაც; მაშინ ხარჯი 200 მანეთით მაინც შემცირდება. სახლის ქირა, ვთქვათ, 200 მ., მოსამსახურეს—180 მ., შეშისა და განათებისა—100 მ. წამლის ფასი წელიწადში 400 მ., სულ 2900 მ. თუ ერთი ფერშალი იქმნა და ფერშლობის მცოდნე ბებია-ქალი წლიური ხარჯი 2780 მ. იქმნება. ქსენონის აფთიაქის მოწყობას, სადოსტაქრო იარაღებისა და სხვა შეძენას დასჭირდება 400 მ. შეიძლება სთქვას ზოგიერთმა, რომ 400 მანეთის წამალი ვერ დაკმაყოფილებს 1500 მოსახლესაო, მაგრამ გამოცდილებით შეგვიძლიან ვთქვათ, რომ ყოველ წლობით 400 მ. გამოღება წამლისათვის ერთს დროს მდიდარს აფთიაქს შეჰქმნის. წამლებს ფერშლები დაამზადებენ, როგორც არის მიღებული სახელმწიფო ქსენონებში. მაჩხაანის კერძო ქსენონს დიდძალი ხალხი აწყდება (6000 კომლი), მაგრამ წამლის ფასი წელიწადში არ აღემატება 1000 მანეთს. 1500—2000 კომლს ძლიერ კარგად ეყოფა 400 მ. წამალი. რადგან 2000 კომლში ყველანი ერთნაირის ქონებისა და შეძლებისანი არ არიან, სამართლიანობა მოითხოვს გარდასახადი შეძლების შესაფერისად განაწილდეს, კომლზე 1—5 მანეთამდე, რადგან სამოვდელოება, შეძლებული გლეხობა და თავად-აზნაურობა ადვილად გადიხდიან 5 მანეთს, მეტადრე თუ ქსენონის ახლო იმყოფებიან. უფრო მომეტებული ნაწილი 1 და 2 მანეთის გადამხდელი იქმნება. ავადმყოფები გაისინჯებიან ქსენონში, მიიღებენ წამალს უსასყიდლოდ. ქსენონში იქმნება რამდენიმე საწოლი ძლიერ გაჭირვებულ ავადმყოფებისათვის, ხოლო საშლისათვის ზრუნვა მშობლების საქმე უნდა იყოს. თუ ექიმი მიიწვიეს სახლში ამისათვის დადგენილი იქმნება 50 კ.—2 მ. გარდასახადი. მხოლოდ ვფიქრობთ და ეს ფიქრი, თუ სოფლების მდგომარეობას გავითვალისწინებთ, უსაფუძვლო არ არის,—რომ ექიმს საკუთარი ეტლი უნდა ჰქონდეს. ამნაირად მცხოვრებლებს ექიმის მოყვანისათვის დაეხარჯებათ ის, რაც ექიმისათვის მარტო ეტლის დაქირავება ღირს.

ჯერ-ჯერობით გვაქვს განზრახული კერძო ქსენონის დაარსება დიდ-ჯიხაიში. მონაწილეობას მიიღებენ ის სოფლები, რომლებიც ჯიხაიშზედ ექვს ვერსზედ მეტის მანძილით არ არიან დაშორებულნი. შემდეგში იმედი გვაქვს, რომ კულაშიც მოისურვებს ამ გვარის ქსენონის გამართვას, მოისურვებს ამას საქილავოც, სადაც დიდი გაჭირვებაა უექიმობის გამო. ამგვარად, დახარჯავს-რა 1500—2000 კომლისაგან შემდგარი საზოგადოება 2700—3000 მანეთს, საკუთარი ექიმი ეყოლება და თან საკმარისი წამალიც ექმნება, რომელზედაც მარტო საზოგადოებას ეხლა 3000 მან. ეხარჯება წელიწადში და ექიმი და ფერშლებიც რომ ვიანგარიშოთ, გაცილებით მეტი უჯდება, თუმცა თავისს დროზედ არც ექიმი ჰყავს და არც ფერშალი. უდროოდ მოყვანილი ექიმი ხომ ვერას გააკეთებს, სენს ვერას დააკლებს. რამდენი ადამიანი იხოცება უექიმობის გამო, ზოგს

ფულიც ბევრი დაუხარჯავს წამალზედ, მაგრამ ეს ვიანი ყოფილა და ადამიანთან ერთად მთელი ქონებაც ტყუილ უბრალოდ დაღუპულა! მხოლოდ მაგალითია საჭირო, საზოგადო მეთაურობის მაჩვენებელი, ისეთი მაგალითი, რომ იგი საზოგადო სარგებლობის მომტანი იყოს, და მაშინ თავს იჩენს მიმბაძავი ძალა, რომელსაც ჩვენი ხალხი კარგ საქმეშიაც ადვილად გამოიჩენს, და მაშინ კერძო ქსენონები სხვა სოფლებშიაც დაარსდება. ეს მით უფრო სახეში მისაღებია, რომ ჩვენში ერობა არ არის, რომელიც საზოგადოდ დიდ ძალასა და მხნეობას იჩენს რუსეთში ხალხის ჯანმრთელობისათვის. მთავრობაც ხელს შეგვიწყობს, რადგან დიდს ყურადღებას აქცევს სოფლების სანიტარულს მდგომარეობას და საშუალება-კი არა აქვს, რადგან ამ გვარ დაწესებულების შექმნამ დიდი გზა უნდა გაიაროს და ათასი დაბრკოლება დასძლიოს. კერძო ქსენონები-კი გაიმართება საზოგადოების განაჩენის ძალით, რომელსაც დაამტკიცებს გუბერნატორი და გუბერნიის მმართველობის სამკურნალო განყოფილება. ქსენონის ყოველ-გვარ საქმეს განაგებენ ექიმი და ხალხისაგან ამორჩეული წარმომადგენელნი; ამ დაწესებულებას ოფიციალური ხასიათი არ ექმნება. საზოგადოება კიდეც უნდა ცდილობდეს, რომ მას ასცილდეს მეტის-მეტი ოფიციალური და კანცელიარული ხასიათი.

დარწმუნებულნი ვართ, ტფილისის და ქუთაისის გუბერნიებში რომ დაარსდეს კერძო ქსენონები, ქართველი საზოგადოება, ინტელიგენტი და არა ინტელიგენტი, გლეხი და თავადი, სამღვდელობა და მწერლობა დიდის თანაგრძნობით მიეგებება და თითონაც ხელს მოუმართავს, რადგან იგი სასარგებლო იქმნება ბევრ ნაირად. ჯერ ჯან-საღობას მეტი ნიადაგი ექმნება, სოფელი უფრო სუფთა იქმნება, რადგან ექიმის მოვალეობაა სოფლების სანიტარულად განკარგებაც; ადვილად შეიძლების სოფელი ყოველ სატკივრის გამო შესჩივლოს ახლო მყოფ ექიმს და ასეთის გაფრთხილების გამო სენი ფეხს ვერ მოიკიდებს; ამასთანავე ხალხი შეეჩვევა სიცოცხლის დაფასებას, რაც ჯერ ჩვენში შეგნებული არ არის საკმარისად და რაც შედეგია განვითარებულის კულტურისა. ევროპაში, სადაც ძლიერ გავრცელებული ია ექიმობა, სადაც თითქმის იდეალური კანტონალური ექიმობა არსებობს სათემო, სამრევლო ექიმობა,—უკვე შეგნებულია ადამიანის სიცოცხლის დიდი მნიშვნელობა. სადაც 1,000—2,000 სულს ერთი ექიმი ყავს, იქ მართლაც უნდა იყოს შეგნებული სიცოცხლის ფასი.

მეორე დიდ-მნიშვნელოვანი თვისებაც ექმნება ამ საქმეს. საზოგადო დაწესებულებას ერთი დიდი პედაგოგიური მნიშვნელობა აქვს; აქ კერძო და საზოგადოებრივი ინტერესი შეთანხმებულა, ან უნდა შეთანხმდნენ და ამას საზოგადოების აღმზრდელი მნიშვნელობა აქვს. იდეალური საზოგადოება ის არის, რომლის წარმომადგენლებს თვისის პირადობის უფლების გაფართოვების სურვილი დიდი აქვთ, მაგრამ ისიც აქვთ შეგნებული, რომ ჩემის უფლების გაფართოვებამ სხვისი უფლება არ შეჰბოჭოს და გასთელოსო. ამ გვარ შეგნებამდის რომ მიაღწევს საზოგადოება, მაშინ ყოველი საზოგადო დაწესებულება, დეპო იქნება იგი თუ ბანკი, ქსენონი თუ სხვა რამე, იხეირებს და კარგს ნაყოფსაც მოიტანს. სნეულება ისეთი რამ არის, რომ აერთებს მდიდარსა და ღარიბს, შთამომავლობით ამაყსა და უშთამომავლოსაც, და კიდევაც ამ საუცხოვო ნიადაგზედ შეიძლება უფრო ადვილად ისეთის საზოგადოებრივის დაწესებულების დამყარება, როგორიც ქსენონია, ოღონდ საჭიროა შეგნებულმა ადამიანებმა ამ საქმის გაძღოლა და მეთაურობა იკისრონ. ამ შემთხვევაში ექიმის და საზოგადოების დამოკიდებულება უფრო მეგობრული და მშობლიურია და ექიმიც უფრო იფიქრებს თვისის ადამიანურ მოვალეობის აღსრულებისათვის და ხალხიც უფრო დაიფასებს ექიმის ღვაწლს.

დიახ, კერძო ქსენონი იმ გვარი დაწესებულებაა, სადაც უფრო ადვილია საზოგადოების ყოველი წევრი შეთანხმდეს და თვით საზოგადოებისა და ექიმის შუა უფრო მტკიცე კავშირი გაიმართოს. კერძო ქსენონების გავრცელება ასწავლის ხალხს სხვა საზოგადო საქმეებშიაც ერთობას. ბევრი საქმეა ჩვენში გასაკეთებელი. საჭიროა სასოფლო ბანკების გავრცელება, რაც მევახშეობას მოსპობს, თუ ბანკი კარგს ნიადაგზედ იქმნება დაყენებული. მეტადრე სასოფლო ბანკები ტფილისის გუბერნიაშია საჭირო. იმერეთში, სადაც სასოფლო ბანკებია, ძლიერ მოისპო დიდის სარგებლით ფულის გასესხება, თუმც ფულის სარგებელი ისეთი დიდი არასოდეს არ ყოფილა ქუთაისის გუბერნიაში, როგორიც ეხლა ქართლ-კახეთშია. საჭიროა აგრეთვე მეაბრეშუმეთა საზოგადოების და სხვა-გვარ საზოგადო სავაჭრო ამხანაგობათა დაარსებაც, ხოლო ყოველივე ეს-კი ძალიან ძნელია, თუ ხალხს არ აქვს ერთი მეორეს ნდობა, თავისის კერძო და საზოგადო ინტერესების შეთანხმების, გაერთების უნარი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

† კიევის მიტროპოლიტი იოანიკე.

ამ დღეებში რუსეთის მართლ-მადიდებელ ეკკლესიას მოაკლდა ერთი შესამჩნევი მწყემსთ-მთავარი, გარდაიცვალა კიევის მიტროპოლიტი იოანიკე 71 წ. იგი დაიბადა 1829 წ. გვარით იყო რუდნევი. მამა მისი მდაბალი ეკკლესიის მოსამსახურე კაცი იყო. სემინარიის კურსის გათავების შემდეგ იგი შევიდა კიევის აკადემიაში და დაასრულა კურსი ჩინებულათ. აკადემიაში კურსის შესრულების შემდეგ მიტროპოლიტი იოანიკე დაინიშნა ჯერეთ კიევის სასულიერო სემინარიის რექტორად, შემდეგ დაინიშნა პროფესორად და რექტორად კიევის აკადემიაში. ბოლოს დაინიშნა პეტერბურღის სასულ. აკადემიის რექტორად. 1861 წ. 12 ივნისს ხელდასხმულ იქმნა ეპისკოპოსად და დაინიშნა პეტერბურღის და ნოვგოროდის სამიტროპოლიტო ვიკარად. 13 იანვარს 1864 წ. დაინიშნა სარატოვის ეპისკოპოსად. 13 ივნისს 1873 წ. იგი დაინიშნა ნიჟეგოროდის ეპარქიის მღვდელ-მთავრად. 27 მარტს 1877 წ. მას ებოძა მთავარ-ეპისკოპოსობა. ამ წელშივე დაინიშნა იოანიკე საქართველოს ექსარხოსად. 1882 წ. იოანიკეს ებოძა მიტროპოლიტობა და დაინიშნა მოსკოვის სამიტროპოლიტო კათედრაზე. 1891 წ. მიტროპოლიტი იოანიკე დაინიშნა კიევის მიტროპოლიტად. კიევის ეპარქიაში მსახურებდა თითქმის 9 წელიწადი.

ძნელად შეხვდებით თქვენ მღვდელ-მთავარს, რომელსაც იმოდენი საქმე გაეკეთებიოს, რამდენის გაკეთებაც შესძლო ამ შესანიშნავმა მღვდელ-მთავარმა. ყველა ეპარქიებში, სადაც კი განსვენებული ეპისკოპოსობდა, მან დაარსა სახლები სასულიერო წოდების ქვრივთა და ობოლთათვის, გახსნა ეპარქიალური სასნოლის ქარხნები, რომელთა შემოსავალიც ხმარდება სწავლის საქმეს, დაარსა სასწავლებლები სასულიერო წოდების ქალთა აღსაზრდელად, გააჩინა თავშესაფარი სემინარიებისა და სასულიერო სასწავლებლების მოწაფეთათვის. მიტროპოლიტმა იოანიკემ თითქმის ყველაზე უფრო შესამჩნევი საქმეები გაკეთა ჩვენს საეკსარხოსოში. ეს საქმეები არიან საეპარქიო სასნოლის ქარხნის რიგიანად დაყენება და დაარსება საეპარქიო ქალების საწავლებლისა თბილისში. ამ სასწავლებლის დასაარსებლად მან ბევრი ფული დაახმარა როგორც სასნოლის სარგებლიდან, ისე თავის ჯამაგირიდან. როგორც კაცი იგი იყო თავმდაბალი, ზომიერად მცხოვრები, არ უყვარდა ფუფუნებითი ცხოვრება, იყო მშვიდი ხასიათის, მაგრამ როცა კანონის ასრულებაზე მიდგებოდა საქმე, მის აუსრულებლობას არავის მოუთმენდა. საზოგადოდ ყოველ ეპარქიაში და ყველგან სასულიერო წოდება დიდი მადრიელი იყო მისი. მიტროპოლიტი იოანიკე დაასაფლავეს 12 ამა ივნისს. ამ დღეს კიევის ლავრაში სადილი გაუმართეს 5000 კაცს. დატოვებული ანდერძი ჯერეთ არ გამოცხადებულა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების გამგეობის ანგარიშიდან ზოგიერთი ცნობები 1899 წლის მოქმედების შესახებ.

სულ ამ ჟამად „საზოგადოებაშია“ 611 წევრი; მათგან—8 საპატიო, 74 დამფუძნებელი და 529 ნამდვილი. საანგარიშო წელს „საზოგადოებას“ არ მომატებია სკოლები. ა) კავკავის სკოლაში სულ სწავლობდა 1900 წელს 150 მოწაფე (105 ვაჟი და 45 ქალი); სკოლაზე და მასთან ეკკლესიაზე სულ საანგარიშო წელს დახარჯულა 4019 მან. 39 კაპ., აქედან 616 მან. 13 კაპ. დახარჯულია „საზოგადოების“ ფული, ხოლო დანარჩენი კავკავის კომიტეტს უკისრნია. ბ) ბათუმის სკოლაში ყოფილა 159 მოწაფე (მათში 26 მაჰმადიანი ქართველი); სკოლაზე „საზოგადოებას“ დაუხარჯავს 529 მან., ადგილობრივ კომიტეტს 4000 მანეთზე მეტი. გ) თონეთის სკოლაში ყოფილა 60 მოწაფე; დახარჯულა «საზოგადოების“ საშუალებიდან 287 მ. 85 კ., ხოლო 300 მან. ჩაწერილია თონეთის სკოლის საზოგადოებაზე. დ) წინარეხის სკოლაში ყოფილა სულ 43 მოწაფე; სკოლაზე დახარჯულა 708 მან. „საზოგადოების“ ფული. ე) გომარეთის სკოლაში ყოფილა—48 მოწაფე; დაიხარჯა „საზოგადოების“ მიერ 518 მან. 47 კაპ.. ვ) ხელთუბნის სკოლაში სწავლობდა 38 მოწაფე; დახარჯულა „საზოგადოების“ 38 მან., დანარჩენი ხარჯი გაუწევია სოფლის საზოგადოებას. ზ) ქუთაისის სათავად-აზნაურო სკოლაში ყოფილა 482 მოსწავლე; საანგარიშო წელს სკოლაზე დახარჯულა: ქუთაისის ბანკის ფული—19.940 მან., კონცერტებიდან შემოსული—258 მან. და სწავლის ფასი—1280 მან.. Თ) სენაკის სკოლაში სწავლობდა 149 მოწაფე; სკოლაზე დახარჯულა ქუთაისის ბანკის ფული 6597 მან. 97 კაპ.. საანგარიშო წელს „საზოგადოებას“ ქონია 5 სახალხო ბიბლიოთეკა; წლის ბოლოს „საზოგადოებამ“ დააარსა ბიბლიოთეკა დიდ ჭიხაიშში (ქუთ. მაზრა). საანგარიშო წელს „საზოგადოებამ“ შემწეობა ალმოუჩინა სკოლებს, ბიბლიოთეკებს, მოსწავლეებს და სხვათ, სულ 566 მანეთისა. 1899 წლის დამდეგს „საზოგადოების“ ბიბლიოთეკაში ყოფილა 3321 ნომერი ქართული წიგნი და ხელთნაწერი, 1186—სხვა ენებზე. წლის განმავლობაში მიემატა ქართული წიგნები და ხელთ-ნაწერები—161 ცალი, სხვა ენაზე 20 ცალი. 1899 წელს „საზოგადოებამ“ დაბეჭდა: 1) ვაჟ-ფშაველას თხზულებანი, 2) ა. ს. პუშკინის ლექსთა კრებული, 3) ქართული სიმღერები, კარგარეთელისა, 4) დედა-ენა, ი. გოგებაშვილისა და 5) ბუნების-კარი, მისივე. „საზოგადოების“ ფოტოგრაფიას შემოსვლია საანგარიშო წელს 6157 მან. 97 კაპ., დახარჯულა—5486 მან. 30 კაპ., წმინდა მოგება დარჩენილა—სულ 671 მან. 67 კაპ., სხვა-და-სხვა თანხების ფული ყოფილა „საზოგადოებაში“ 10,290 მან. 48 კაპ.: საანგარიშო წელს მიემატა 1223 მან. 38 კაპ., რომელიც შემოსულა გ. ქართველიშვილის გამოცემულ „ვეფხის-ტყაოსნის“ წიგნებიდან და რომელიც ხსენებულ პირს შეუწირავს «საზოგადოებისთვის“ საკუთარ სტამბის დაარსებისათვის. საანგარიშო წელს „საზოგადოებას“ შემოსვლია საწევრო ფული მხოლოდ 1359 მან.; ხოლო ყულაბებიდან შემოსულა სულ 361 მან. 73 კაპ. „საზოგადოებისთვის“ შემოუწირავთ: ბაქოში გამართულ საღამოდან 2000 მან. განჯაში გამართულ საღამოდან—366 მან., ი. ს. ჯაბადარისაგან შემოსულა—467 მან. და სხვა წვრილი,—სულ კი შემოუწირავთ—3231 მან. 32 კაპ.; კონცერტიდან «საზოგადოებას“ შემოსვლია 720 მან.; საქველმოქმედო ბაზრიდან შემოსულა—1419 მან. 52 კაპ.: წიგნების ვაჭრობიდან მოგება ყოფილა—1868 მან. 52 კაპ. და სხვა წვრილი შემოსავალი; სულ კი „საზოგადოებას“ შემოსვლია საანგარიშო წელს—19,723 მან. 70 კაპ.; იმავე დროს გასავალი ყოფილა—17,687 მან. 28 კაპ.; გადამეტებული შემოსავალი არის 2036 მან. 42 კაპ.



ეროვნული ბიბლიოთეკა

დაკარგული ბავშვი.

წარსული თვის მარტის ათს, დღით შაბათს, სოფელ მესხეთში (ქუთაისის მაზრაშია) დაიკარგა გლ. სარდიონ თევდორეს ძის ფხაკაძის 13 წლის ვაჟი შვილი Iასონი. აი საქმე როგორ იყო: 10 მარტს, დღით შაბათს დილით, სარდიონის შვილმა იასონმა გარეკა საქონელი საძოვრად სოფ. მესხეთიდან „ბაკენჩხლიანში“ (ადგილის სახელია), ამ ადგილს უვლის რკინის გზა. როგორც შემდეგ აღმოჩნდა, იასონს მატარებელმა მოუკლა ორი სული საქონელი, ძროხა — დედა-შვილითურთ. აი, ამ მოულოდნელის შემთხვევისა გამო, შეშინებული იასონი იმ ფიქრით, რომ თუ ეს გარემოება გაიგეს ჩემმა მშობლებმა, გამლახავენო, სადღაც გადაიკარგა და დღემდე ვერ უპოვნიათ თვისს მშობლებს ვერც ცოცხალი და ვერც მკვდარი...

დაკარგულის, Iასონის შესამჩნევი ნიშნები: წლოვანებით 13 წლისა, ტანად წლოვანების შესაფერი, კარგა მომსუქნო პირის სახისა, ცხვირი მომოკლო, თვალები თაფლის ფერი, სახე შაქრის ფერი, შუბლი მოზრდილი, თითქმის მოწყენილის სახისაა, თმა წაბლის ფერი...

Iასონის დედ-მამის და მისი მოხუცებული ბაბუას—თევდორე ფ—ძის გლოვა-ტირილი და მწუხარება ზევით ცას აწუხებს და ქვევით დედამიწას, მაგრამ გლოვასა და ტირილს აბა რა მოუტანია?!.. აი, ამ მოულოდნელი შემთხვევით დამწუხრებულ-დაძმარებული მშობლები იასონისა—სარდიონ თ. ფხაკაძე, და თევდორე—ბაბუა დაკარგულის იასონისა უმორჩილესად სთხოვს სოფლების ადმინისტრაციასა—მამასახლისთ და ბოქაულთ, და ყველას ერთობით, რათა მიაქციონ თავიანთი ყურადღება ამ გარემოებას და თუ სადმე ნახონ ზემო აღნიშნული სახის ყმაწვილი, აუწყონ რომელიმე გაზეთის რედაქციას, ან და ს. ქვიტირის (ქუთ. მაზ.) მამასახლისს.

უმორჩილესად სთხოვენ დაკარგულის იასონის მშობლები ქართულ ჟურნალ-გაზეთების რედაქციებს, რათა გადაბეჭდონ ეს ამბავი.

ბართლომე.

ახალი ამბები და შენიშვნები.

„ქ. შ. წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების“ სასარგებლოდ 28 და 29 მაისს გამართულ ბაზრობიდგან შემოსულა 3200 მანეთზე მეტი.

* * *

შესანიშნავი შეწირულება. ბაგრატიონთაგან აღგებულს დიდებულს მარტვილის ტაძარს ყმათა მდინარეობამ დაამჩნია თვისი ულმობელი ხელი: ტაძარი საჭიროებს ადგილ-ადგილ შეკეთებას. იკონოსტასი სრულებით დაძველდა და დიდ შეკეთებას ითხოვს. მოხსენდა-რა ეს ამბავი გენერალ-ადიუტანტს თ. გრიგოლ ლევანის ძეს დადიანს, მისმა უგანთლებულესობამ სასარგებლოდ ამა ტაძრისა, რომელშიაც განისვენებენ მისნი წინაპარნი, შესწირა 700 მანეთი...

* * *

„ცნობის ფურცელში“ სწერდენ ამას წინად, რომ ერთ უბრალო სოფეს 3000 მ. გაეგზავნა პატრიარქისათვის ეკკლესიებზე დასახმარებლად.

* * *

საერო განათლების სამინისტროს უკვე დაუმზადებია პროექტი სახალხო მასწავლებელთა პენსიების შესახებ. პროექტით, პენსია ეძლევა იმ მასწავლებელთ, რომელნიც 25 წელიწადს მსახურობენ. ვადა ითვლება პროექტის დამტკიცებიდან, ასე რომ მასწავლებელთ უკვე ნამსახური დრო არ ჩაეთვლებათ.

* * *

დაბა ყვირილაში საზოგადოებას კრება ჰქონდა ყვირილაში რიგიანი წეს-წყობილების დასაარსებლად და მისი მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. კრებამ აირჩია ოთხი კაცი და მიანდო შუამდგომლობა მთავრობის წინაშე, რათა ითხოვონ შემოკლებული თვით-მართველობა დაბისა, რომ ამით მაინც ეღირსონ დაბაში რიგიანი წეს-წყობილების დაარსებას.

* * *

შორაპნის მაზრის უფროსი ბ. ნეტკაჩევი სამსახურიდან გამოვიდა. მის ადგილს აძლევენ ძლიერ შორეული ქვეყნიდან მოსულს კაცს.

* * *

ერთ რუსულ ჟურნალს („ობრაზოვანიე“-ს) შეუკრებია ცნობები იმის შესახებ, თუ რამდენად

ეროვნული ბიბლიოთეკა

არის გავრცელებული რუსეთის სასწავლებლებში ალკოჰოლიზმი, ესე იგი, მაგარ სასმელების უზომო სმა. ახალგაზდობაში და ბავშებში მაგარ სასმელების სმა ჩვეულებრივ, საყოველთაო მოვლენად შექმნილაო, ამბობს ჟურნალი. ამ სენის გავრცელების გამოსარკვევად შეჰკითხვიან სოფლის მასწავლებელთ და აი რა მოუწერიათ ზოგიერთ სასწავლებლებიდგან. მაგალ. ვიატკის გუბერნიიდან იცნობებიან: «ცოტას გამოკლებით, თითქმის ყველა გლეხის ბავშებმა, როგორც ვაჟებმა აგრეთვე გოგოებმა იციან არაყის გემო, და მათგან ნახევარზე უფრო მეტმა იცის, თუ რა არის სიმთვრალე... ამ სასწავლებლის 87 ვაჟთაგან და 13 ქალთაგან მხოლოდ 1 ვაჟს და 2 ქალს არ სცოდნიათ არაყის გემო; არასოდეს არ გამოუცდიათ სიმთვრალე მხოლოდ 3 ვაჟს და 8 გოგოს". პსკოვის გუბერნიიდან ატყობინებენ: „გლეხის ბავშებში სიმთვრალე გავრცელებულია სასწავლებელში შემოსვლამდეც-კი... ბავშები სმენ და არ ერიდებიან არც მშობლებს, არც გარეშეთ, ზოგიერთი მათგანი დიდსაც-კი არ ჩამოუვარდება სმაში, ჭიქის „მოპირქვავების" ხელოვნებაში, რასაც დიდზე უფრო მსწრაფლადაც-კი ახერხებენ...» ერთ სოფლიდან ატყობინებენ: «ბავშებმა ყველამ იცის არაყის გემო, 8 მათგანი კიდეც დამთვრალა. ერთი სოფლის სამრევლო სასწავლებლის შესახებ ადგილობრივ მთავარს მოუწერია: „ყველა გლეხის შვილებმა, ვაჟებმა და გოგოებმაც იციან არაყის გემო, უმრავლესობა მათგანი კიდეც დამთვრალა. არაყის სმა ცუდ თვისებად არ არის მიჩნეული». ნოვგოროდის გუბერნიიდან იტყობინებიან: «უფროსი განყოფილების ათ მოწაფეში ყველა დამთვრალა; საშუალო განყოფილების 21 მოწაფეში ათი არყის მსმელია, მათში ხუთი დამთვრალა; უნცროსი განყოფილების 27 ბავშში 19-ია არყის მსმელი, მათში 14 დამთვრალა. 30 ქალიშვილში არც ერთი არ არის, რომ არაყს არ სვამდეს; სიმთვრალე გამოუცდიათ 3-ს უფროსი განყოფილების 10 ქალიშვილში, და 14-ს—უნცროსის 20-ში. ლიფლიანდიიდან ამაზედ უფრო სამწუხარო ცნობები წარმოუდგენიათ. ერთ სასწავლებელში არაყის მსმელ ბავშთა რიცხვი 92 ყოფილა ასზე.

რაც შეეხება მიზეზებს ამგვარი სენის გავრცელებისას ჟურნალი ასახელებს: უმთავრესად იმას, რომ სიმთვრალე საზრახისად არ არის მიჩნეული სოფელში. კვირა-უქმე დღის სეირნობაში, ანუ დღეობებში, ბევრს სიამოვნებად მიაჩნია ბავშის დათრობა და უწმაწური სიტყვებით გინებაში მისი გაწრთვნა. აგრეთვე საზოგადო ქელეხების დროს, მენახირეს დაქირავების დროს, საზოგადო, სასოფლო განჩინების დადგენის დროს, ბავშების სიმთვრალე და თუთუნის წევა უბრალო, დაუშლელ ცელქობად მიაჩნიათ და ხშირად მხოლოდ ერთობიან მთვრალი ბავშის ხილვით".

ადვილი მისახვედრია, თუ რა ღრმა ფესვები უნდა ჰქონდეს გამდგარი ამ სენს, რომელიც რასაკვირველია, მარტო ბოლო ხნების მოვლენა კი არ უნდა იყოს; არამედ ხანგრძლივი შედეგი ერთხელვე დამყარებულ მავნე თვისების. ადვილი წარმოსადგენია ისიც, თუ რა მავნებლობა შეუძლია მას და რა შედეგის მოტანა საბოლოოდ, როდესაც ნორჩობიდგანვე ტვინი ეძლევა ამ საშინელი ჩვეულების ზე-გავლენას.

*
* *

1 ივნისს, ტფილისის ზემოდ, 8 ვერსის მანძილზედ, «ვარდის-ჭალაში", მტკვრის პირას, წყალში ნახეს რაღაც ყუთი. როდესაც ყუთი წყლიდგან ამოიღეს და გახსნეს, აღმოჩნდა შიგ ვიღაც მოკლულის კაცის გვამი, ნაკუწ-ნაკუწად ქცეული. როგორც ტანისამოსზედ ეტყობა, მოკლული მუშა უნდა ყოფილიყო. ზედ ჩითის წითელი და შავ წინწკლებიანი პერანგი ეცვა, ხოლო ფეხებზედ პაჭიკები და წინდები. ფეხები და ხელები მოჭრილი ჰქონდა და იქვე ყუთში ეწყო. თავი არსად აღმოჩნდა. კისერზედ ეტყობა, რომ თოკი მოუქერიათ. გვამი შეხვეული იყო ახალ კლიონკაში. გვამი ბოლიციამ მიხეილის საავადმყოფოს საანატომიო განყოფილებაში გაჰგზავნა. („ივერია").

*
* *

„ქუთაისის გუბერნიის უწყებებში» დაბეჭდილი იყო ამას წინათ შემდეგი: „პოლკოვნიკი ალიხანოვი, გამოგზავნილი მთავრობისაგან, რათა მიიღოს საჩქარო ზომები ჭიათურასა და მის მიდამოებში გაჩენილ სენის მოსასპობლად, ამით უცხადებს ყველა მარგანეცის მწარმოებელთ, სახლის პატრონთ, მოვაჭრეთ, ყველა თავლების პატრონებს და მრიჯარადრეთ, რომლებიც კი ჭიათურაში არიან—შესასრულებლად შემდეგს:

„ექიმთა საბჭომ და ადგილობრივმა სასანიტარო კომისსიამ უმთავრესს მიზეზათ საშიშ სენის გავრცელებისა ჭიათურაში სცნო აუარებელი თავლები, რომლებითაც სავსეა მთელი სოფელი, საპაზრო მოედანი და მდ. ყვირილის ნაპირები და რომლებიც

ეროვნული ბიბლიოთეკა

საშინლად უსუფთაოდ ინახებიან. უსუფთაობის მიზეზი კი ის არის, რომ ამ ერთი ბეწო ადგილზე მოთავსებულია 15 ათასი ცხენი, ვირი და მუშა ხალხი,—ყველა ეს ისეთის წარმოუდგენელ უსუფთაობაში და ანტისანიტარულ მდგომარეობაშია, რომ კაცის სხეულს არ ძალუძს აიტანოს ასეთი უსუფთაობა.“

«ამიტომ საჭიროდ დაინახეს დაქცეულ იქმნას ყველა თავლები და გასუფთავებულ, სავაჭრო მოედანი და მდ. ყვირილის ნაპირები.“

თავლების გადატანის ვადა ქონდათ თითქმის ორი კვირა, რადგან ამ დროში თავლები არ მოაშორეს ჭიათურას, პოლიციამ დააქცია და გაწმინდა ჭიათურის მიდამოები და დააწესა მთავრობამ, რომ ეს თავლები და მუშათა რიგიანი ბინები ააშენონ იმ სოფლებში, სადაც მადნები ითხრება.

გადატანილ უნდა იქმნას თავლები მარგანეცის მადნების სიახლოვეს, სოფლიდან და მდინარის ნაპირებიდან მოშორებით. ყველა თავლებში ძველშიაც და ახლად აშენებულშიაც იატაკი უნდა მოიკირწყლოს ქვით ან დაიგოს ფიცრით. მუშათა საცხოვრები ოთახები ცალკე უნდა გაიმართოს, თავლების ახლოს.

* * *

ხმები ისმის, რომ ერთი სამისსიონერო ეპარქიის გახსნა სურთ ჩვენ მხარეში. ამ ახალი ეპარქიის ეპოედრა იქნება ბათუმში. ამ ეპარქიას შეადგენს ოზურგეთის მაზრა და აჭარაო. სამეგრელოს ეპარქიას შეადგენს ორი მაზრა, ახალსენაკი და ზუგდიდის; ამ ეპარქიას მიაწერენ სამურზაყანოსაკო. ამბობენ, რომ სამეგრელოს ეპარქიის კოეოდრა იქნება ახალსენაკშიო...

* * *

ამ წელს პირველად დაათავეს კურსი იმერეთის ეპარქიის გაბრიელის ქალების სასწავლებელში ოცამდის მოსწავლე ქალებმა.

საკვირველია, რომ სასწავლებლის გამგეობამ ვერ მოახერხა, მოეწვია ისეთი პირები, რომელთაც უმეტესი ღვაწლი მიუძღვისთ ამ სასწავლებლის დაარსების საქმეში. მაგრამ, სამწუხაროდ, ასეა ყოველთვის ყველგან: მოთავე პირებს ივიწყებენ და ასპარეზზე გამოდიან ისეთები, რომელთაც დიდი ღვაწლი არა მიუძღვისთ-რა. შემდეგ ნომერში მოვიყვანთ მოკლე ისტორიას ამ სასწ. დაარს. შესახებ.

* * *

«კავკაზ»-ში ვკითხულობთ: «საიდუმლო მკვლელობა, რომელიც მოხდა ტფილისში და აღმოაჩინეს ბათუმში, სადაც მოკლული მიიტანეს რკინის გზით ყუთში ჩადებული, დღემდის დიდს ყურადღებას იწვევს გამომძიებელთა და მთავრობისას. ეი დაწვრილებითი აღწერა მოკლულის გვამისა. მას თავი და ფეხები მუხლების ქვევით სრულიად მოცილებული ჰქონდა; ფეხები და თავი იქვე ყუთში ელაგა; მოკლულისთვის მოეჭრათ ცხვირი და ზეითა ტუჩის ნაწილი, ორივე ლოყა, ორივე ყური და აეგლიჯათ ნახევარ შუბლიდან კანი. მოკლულს ეცვა ფუფაიკა სარდაფის ფოლაქებიანი; ფუფაიკა უკნიდან, მარჯვენა სახელოსთან, გახეული ყოფილა და დაკერებული ტილოს ნაჭრით. ფუფაიკის ქვევით ეცვა თეთრი ტილოს პერანგი, თეთრის ტილოს ფოლაქით; არც პერანგს, არც ფუფაიკას „მეტკები“ არა აქვთ; ფეხებზედ მოკლულს ეცვა ტილოს პერანგის ამხანაგი, რომელიც შეკერული ქონდა დიდის მუშანე ფოლაქით. შესახედავთ მოკლული 30—35 წლის კაცი უნდა ყოფილიყოს; სიმაღლე—2 არშ. $6^1/_2$ ვერშოკი. თმა თავზე წაბლის ფერი აქვს და საკმაოდ გრძელი; წვერი პატარა, ქერა. კბილები საღი აქვს ყველა (28); 4 საბრძნო კბილი არა აქვს. ხელებზე და ფეხებზე მეტხორცი (მაზოლები) არა აქვს. რა ერის არის მოკლული, ძნელი გამოსაცნობია, რადგანაც გვამი მეტად გახრწნილი აღმოჩნდა და მეტად დასახიჩრებული; უეჭველია მხოლოდ, რომ მოკლული არც მაჰმადიანია, არც ურია. გულზე და მუცელში 12 ჭრილობა აღმოჩნდა. ექიმების აზრით, მოკვლა მომხდარა 10 აპრილს ან ცოტა უფრო ადრე. მოკლულიდან გადაღებულია ფოტოგრაფიული სურათები, რომელიც ყველას შეუძლიან ნახოს გამომძიებლის კამერაში, ტფილისის პოლიციის სამმართველოში და ტფ. პოლ. ყველა განყოფილებებში. ფუფაიკის, პერანგის და პერანგის ამხანაგის ნახვა შეიძლება ტფილისის საპოლიციო სამმართველოში. სასურველია, რომ ეს ცნობები გადაბეჭდონ ყველა გაზეთებმა, რათა ამით იქნება გაადვილდეს მოკლულის ვინაობის აღმოჩენა“.

* * *

ჩვენი რკინის გზის მართველობამ ორი ფრიად დიდი შესანიშნავი წესი შემოიღო მგზავრთა, ვითომ, სასარგებლოდ. საათები დააყენა პეტერბურღის საათზე და ზარების რეკა მოსპო. წინაც რომ რამდენჯერმე ზარებს რეკდენ, ეხლა ეს აკრძალეს და თითოჯერ შემოკვრენ ხოლმე. პირველად ერთს, მეორედ ორს და მესამედ სამს. ზარების რეკის წესიუ ცხოეთიდან შემოუტანიათ! ზარების რეკის მაგიერ უცხოეთიდან რომ ის წესი შემოეტანათ, რომ ნახევარ და ხან მთელი საათობით არ ეყურეყუტათ მგზავრთ მატარებლისთვის სადგურებზე, ის ემჯობინებოდა. რაიცა შეეხება პეტერბურღის დროს, შეიძლება ამ განკარგულების შემდეგ მზე გვიან ამოვიდეს ხოლმე ჩვენშიაც, რადგან ასე სურსთ რკინის გზის ბატონებს!!..

სახელმძღვანელი, საეკურთხევლები, საჭირო და სასარგებლო კანონთა განყოფილება.

მღვდელთა მსახურების წეს-რიგი მღვდელ-მთავრის წირვაში და სხვა საჭირო ცნობანი სამღვდელო და საეკლესიო მოსამსახურეთათვის.

(თარგმნილი რუსულიდგან მეექვსე გამოცემისა).

გაგრძელება.

მეორე დიაკონი, როცა მღვდელ-მთავარი საკმეველს ჩაკმევს საცეცხურში მიუახლოვდება მას და მიიღებს ომფორს, რომელსაც მოხდიან იპოდიაჩოქები; შემდეგ თაყვანს ცემს მღვდელ-მთავარს, წავა და დადგება ტრაპეზთან მარცხნით არქიდიაკვნის პირ-შექცევ.

სამოციქულოს კითხვაში არქიდიაკონი აკმევს ჩვეულებისამებრ და კმევის შემდეგ საცეცხურს გადასცემს პონომარს. თვითონ ისევ თვის ადგილს დაიჭერს, ტრაპეზის მარჯვნით, მეორე დიაკვნის პირ-და-პირ.

სამოციქულოს წაკითხვის შემდეგ, მეორე დიაკონი, რომელსაც ომფორი უჭირავს, დადგება ტრაპეზის წინ იპოდიაჩოქებს შუა, ხოლო პირველი დიაკონი, რომელიც სამეუფო კარებით შემოვა, მის ადგილს დაიჭერს. როცა არქიდიაკონი წმ. სახარებას მიიღებს უფროსი თანამწირველისაგან, შეამთხვევს მღვდელ-მთავარს და საკურთხევლიდან გამოსვლას გააპირებს, ამ დროს თაყვანს ცემს მღვდელ-მთავარს მეორე დიაკონი, გამოვა სამეუფო კარებიდან ომფორით არქიდიაკონსა და იპოდიაჩოქებზე უწინ, შემოუვლის ამბიონზე დადგმულ ანალოღიას მარცხნიდან მარჯვნისკენ და შევა ისევ საკურთხეველში. აქ დადგება ტრაპეზის წინ პირველი დიაკვნის პირ-შექცევ. სახარების წაკითხვის წინ მეორე დიაკონი იტყვის: «სიბრძნით აღემართენით და ისმინეთ წმ. სახარება», ხოლო პირველი—: „მოხედენ“ და ამის შემდეგ ორნივე ემთხვევიან ტრაპეზს, მიიღებენ ლოცვა-კურთხევას მღვდელ-მთავრისაგან, ემთხვევიან ხელზე და მერე ერთი მარჯვნით წავა, მეორე მარცხნით და ომფორსა და სამოციქულოს თვის თვის ადგილზე დასდებენ.

სახარების წაკითხვის შემდეგ არქიდიაკონი შევა საკურთხეველში და, როცა მღვდელ-მთავარი აკურთხევს ტაძარში მდგომარე ხალხს ჯვარის სანთლებით, შეამთხვევს მას სახარებას და შემდეგ დაასვენებს ტრაპეზზე. ამის შემდეგ თაყვანის ცემს მღვდელ-მთავარს იპოდიაჩოქებითურთ, თაყვანის ცემს აგრეთვე მაღალი დასაჯდომელის წინაშე და დაიჭერს თვის ადგილს.

სახარების შემდეგ „ის პოლლა ეტი დესპოტა“-ს გალობის დროს, გამოვა პირველი დიაკონი საკურთხეველიდან ჩრდილოეთის კარით და ამბიონზე იტყვის მრჩობლ კვერექსს. უკანასკნელი სათხოვრის თქმის დროს იმავე კარებით გამოვა ამბიონზე მეორე დიაკონიც და განაგრძობს შემდეგ კვერექსს. ხოლო პირველი საკურთხეველში შევა. კათაკმეველთა კვერექსის შემდეგ არქიდიაკონი და პირველი დიაკონი თაყვანის ცემენ მღვდელ-მთავარს, დადგებიან სამეუფო კარებში, ხალხისკენ მხედველი და აქ სამნივე მიმოგდებით იტყვიან: „რაოდენნი კათაკმეველნი ხართ....»-ს. არქიდიაკონი იწყებს: «რაოდენნი კათაკმეველნი ხართ განვედით“; „კათაკმეველნო განვედით მოაყოლებს მეორე დიაკონი; „რაოდენნი კათაკმეველნი ხართ განვედით“ განაგრძობს პირველი დიაკონი. დანარჩენ სათქმელს დაასრულებს მეორე დიაკონი, ხოლო არქიდიაკონი და პირველი დიაკონი შევლენ საკურთხეველში, ვედრებასა ჰყოფენ ტრაპეზის წინაშე, თაყვანის ცემენ მღვდელ-მთავარს და თვის-თვის ადგილებს დაიჭერენ. «რომელნი ქერუბიმთა“ გალობის წინ, როცა უკანასკნელი კვერექსი დაიწყება, პირველი დიაკონი მიიღებს მღვდელ-მთავრისაგან ლოცვა-კურთხევას კმევის დაწყებისათვის და აკმევს ჩვეულებისამებრ საკურთხეველში; უკმევს საკურთხეველში მდგომარეთაც. როცა მღვდელ მთავარი სამკვეთლოს უკმევს წინიდან, აგრე-

*) იხ. „მწყემსი“ 1900 წ. № 9—10.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თვე წმ. ძღვენთა და დაფარნას დაადებს დიაკონს მხარზე, პირველი დიაკონი განაგრძობს კმევას და უკმევს სამეუფო კარებს. შემდეგ გამოვა და უკმევს ამბიონიდან იკონოსტასს, მგალობელთა, მკითხველთა და ტაძარში მდგომარე ერს. მერე შემობრუნდება საკურთხეველში, უკმევს ტრაპეზს წინიდან, მიდგება ჩრდილოეთის კარისკენ და უცდის დიდი გამოსვლის დაწყებას.

მღვდელ-მთავრის მიერ ხელის ბანის შესრულების შემდეგ „რომელნი ქერუბიმთა გალობის დროს, არქიდიაკონი და მეორე დიაკონი მოახვევენ მღვდელ-მთავარს პატარა ომფორს, ხოლო როცა მღვდელ-მთავარი „რომელნი ქერუბიმთა“ გალობას სამ გზის წაიკითხავს, არქიდიაკონი მოხდის მიტრას და დასდებს ტრაპეზზე. ამის შემდეგ ემთხვევა ტრაპეზს, მივა სამკვეთლოსთან და მღვდელ-მთავრის მიერ ცოცხალთა სეფისკვრიდან ნაწილების ამოღების დროს მოიხსენებს ხელმწიფე იმპერატორს და ყოველ სამეფო სახლობას. ხოლო მიცვალებულთა სეფისკვრიდან ნაწილების ამოღების დროს—მოიხსენებს გარდაცვალებულთა უწმ. მართლ-მადიდებელთა პატრიარქთა, მიტროპოლიტთა, არქიეპისკოპოზთა, ეპისკოპოზთა და ყოველ სამღვდელო და სამონაზონო წესს.

მღვდელ-მთავრის მიერ კვეთის შესრულების შემდეგ, მეორე დიაკონი მოართმევს მღვდელ-მთავარს საცეცხურს და, როცა იგი უკმევს წმ. ძღვენთა, მიიღებს უკანვე და გამოყვება პირველ დიაკონს, რომელიც საცეცხურითვე მოყვება რიგისამებრ იპოდიაჩოქს, რომელსაც მოაქვს მღვდელ-მთავრის ომფორი და მიტრა. როცა ამ რიგათ გამოვლენ საკურთხეველიდან, მეორე დიაკონი გაჩერდება სამეუფო კარების წინ მარცხნით, ხოლო პირველი მარჯვნით მის პირ-და-პირ. არქიდიაკონი კი მიიღებს თუ არა ფეშხუმს თავზე, გამოყვება მერიპიდეთ და ხელმწიფე იმპერატორის მოხსენების შემდეგ შევა და დადგება ამბიონზე, საკურთხევლისაკენ მხედველი. როცა მღვდელ-მთავარი მიუახლოვდება არქიდიაკონს წმ. ფეშხუმის ჩამოსართმევად, ამ დროს მოართმევს საცეცხურს მეორე დიაკონი და კმევის შემდეგ ისევ მიიღებს, ხოლო არქიდიაკონი ღაღად ჰყოფს: «მღვდელ მთავრობა შენი მოიხსენოს უფალმან ღმერთმან სასუფეველსა თვისსა...», მიუახლოვდება სამეუფო კარებს და მოიხრის მარჯვენა მუხლს მღვდელ-მთავრის წინაშე სიადვილისათვის ფეშხუმის ასვენებისა მღვდელ-მთავრის მიერ. ფეშხუმის ასვენების შემდეგ დადგება სამეუფო კარებში მღვდელ-მთავრის გვერდით მარჯვნისკენ, ხოლო მღვდელ-მთავრის მიერ სამეფო სახლობის მოხსენების შემდეგ, გამოყვება მარცხნიდან მღვდელ-მთავარს ტრაპეზამდი.

როცა მღვდელ-მთავარი ფეშხუმს ტრაპეზზე დაასვენებს და ახდის დაფარნას, არქიდიაკონი დაკეცს და დასდებს მარცხნით. შემდეგ ამისა გამოყვება ისევ მღვდელ-მთავარს სამეუფო კარებამდი და მოუდგება გვერდში მარცხნით.

სანამ მღვდელ-მთავარი ბარძიმს მიიღებდეს უფროსი თანამწირველისაგან, მეორე დიაკონი მიართმევს საცეცხურს მღვდელ-მთავარს და კმევის შემდეგ ისევ მიიღებს. ხოლო არქიდიაკონი, როცა მღვდელ-მთავარი ბარძიმზე მოხსენებას დაასრულებს, გამოყვების მას ხელ-ახლავ ტრაპეზამდი, აქ დაკეცს დაფარნას და დასდებს ტრაპეზზე მარჯვნით. ამის შემდეგ მოართმევს მღვდელ-მთავარს მიტრას და დაახურავს მას.

ყველა ამ მოქმედების დროს პირველი და მეორე დიაკვნები სამეუფო კარების წინ დგანან და მღვდელ-მთავრის ყოველ მოხსენებაზე; „მოიხსენოს უფალმან ღმერთმან სასუფეველსა თვისსა...»-ზე, უკმევენ წმ. ძღვენთა, ხოლო ბარძიმის ტრაპეზზე დასვენების შემდეგ შევლენ საკურთხეველში სამეუფო კარებით და პირველი დიაკონი მიუახლოვებს მღვდელ-მთავარს დაფარნას, რომელიც მხარზე აფენია, და მიართმევს საცეცხურს, ხოლო კმევის შემდეგ არქიდიაკონი ჩამოართმევს და ესვე უკმევს სამჯერ სამ გზის.

(უკეთუ მღვდლათ ხელ დასასხმელია ვინმე, როცა მღვდელ-მთავარი ბარძიმს ტრაპეზისაკენ წამოასვენებს, ჩამოვა პირველი დიაკონი ამბიონიდან, მოხდის დაფარნას რომელიც თავზე აფენია მღვდლათ ხელ დასასხმელ დიაკონს, შეიტანს სამეუფო კარებით საკურთხეველში და მიართმევს მღვდელ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მთავარს. ხოლო როცა მღვდელ-მთავარი დაბურავს დაფარნით წმ. ძღვენთა და ყველა თანამწირველთ ჯვარს დასახავს, გამოვლენ საკურთხეველიდან პირველი და მეორე დიაკვნები ჩრდილოეთისა და სამხრეთის კარებით და ამოუდგებიან გვერდში აქეთ იქით მღვდლათ ხელ დასასხმელს, რომელიც ამბიონს დაბლა სდგას. აქ მეორე დიაკონი იტყვის: „ბძანე"; ხოლო პირველი დიაკონი წაიყვანს და, როცა ამბიონზე შესდგება იტყვის: «ბძანეთ"; როცა ხელ დასასხმელი სამეუფო კარებს მიუახლოვდება, შემოხვდება არქიდიაკონი და ღაღად ჰყოფს: «ბძანე ყოვლად უსამღვდელოესო მეუფეო". პირველი და მეორე დიაკვნები შევლენ საკურთხეველში იმავე კარებით, რომლებითაც გამოვიდენ და ხელ დასასხმელის ტრაპეზის გარეშემო რონინების დროს გალობენ სხვათათანა: „წმინდანო მოწამენო ....», „დიდება შენდა, ქრისტე ღმერთო..." და «ისაია მხიარული...." ხელ დასასხმელზე ლოცვის კითხვის დროს არქიდიაკონი მოხდის მღვდელ-მთავარს მიტრას, ხოლო როცა მღვდლათ ხელ დასასხმელი წამოდგება, პირველი დიაკონი შემოხსნის გინგილს და გადასდებს. შემდეგ ახალ ნაკურთხის შემოსვლაზე ეხმარება არქიდიაკონი და თან გალობს მღვდელ-მთავრის ყოველ თქმაზე „აქსიოს"-ს.

შემდეგ მღვდელ-მთავრის მიერ დიაკვნების ჩვეულებრივი კურთხევისა, გამოვა საკურთხეველიდან ჩრდილოეთის კარით მეორე დიაკონი და, როცა მღვდელ-მთავარი ჯვარის სანთლებით მდგომარე ხალხს აკურთხევს, იტყვის: კვერექსს „აღვუსრულოთ ვედრება ჩვენი უფალსა."

ასამაღლებელის „ვიყვარებოდეთ ურთიერთ არს...."-ის თქმის დროს არქიდიაკონი მოხდის მღვდელ-მთავარს მიტრას, ხოლო «მრწამს"-ის გალობის გათავების შემდეგ ისევ დაახურავს. ასამაღლებელის „ძღვენისა გალობისა...." თქმის დროს ვარსკვლავს ფეშხუმიდან პირველი დიაკონი აიღებს. ასამაღლებელის «მიიღეთ და სჭამეთ....»-ის თქმის წინ არქიდიაკონი კვლავ მოხდის მიტრას მღვდელ-მთავარს და დასდებს ტრაპეზზე, ხოლო წმ. ძღვენთა შეცვლის შემდეგ ისევ დაახურავს. ამ დროსვე მოართმევს მღვდელ-მთავარს მეორე დიაკონი საცეცხურს, ხოლო კმევის შემდეგ ისევ მიიღებს და აკმევს ჩვეულებისამებრ ტრაპეზის გარეშემო და აგრეთვე მთლად საკურთხეველში. კმევის შემდეგ საცეცხურს გადასცემს ეკკლესიის მსახურს.

„ღირს არს"-ის გალობის გათავებამდი, არქიდიაკონი თაყვანს ცემს მღვდელ-მთავარს და მიიღებს ლოცვა-კურთხევას. შემდეგ დადგება სამეუფო კარებში და ხალხისაკენ მხედველი ღაღად ჰყოფს: „ყოველთა და ყოვლისათვის", ხოლო უფროსი თანამწირველის მიერ ადგილობითი მღვდელ-მთავრის მოხსენების შემდეგ განაგრძობს: «უწმიდესი და უმართებელესი სინოდი...» და „და უფალი ჩვენი ყოვლად სამღვდელო.."ის თქმის დროს მობრუნდება, მივა ტრაპეზთან და ბარძიმ-ფეშხუმზე ოლარის ჩვენებით იტყვის: «შემწირველი წმ. ამის ძღვნისა». შემდეგ თაყვანს ცემს მღვდელ-მთავარს, მივა კვლავ სამეუფო კარებთან და ხალხისაკენ მხედველი განაგრძობს: „წარსამართებელად უკეთილ-მსახურესისა და უთვით მპყრობელესისა დიდ-ს ხელმწიფისა..." ხოლო ამის შემდეგ მოვა ისევ მღვდელ-მთავართან, ამბორს უყოფს მარჯვენაზე და ამბობს: «ის პოლლა ეტი დესპოტა"-ს. მღვდელ-მთავრის მიერ ასამაღლებელის „და იყვნენ წყალობანი დიდისა ღვთისა.." თქმისა და მდგომარე ერის კურთხევის შემდეგ, გამოვა საკურთხეველიდან მეორე დიაკონი ჩრდილოეთის კარით და იტყვის კვერექსს: „ყოველთა წმიდათა მომხსენებელთა...."

მდვდ. ი. ფანტხავა.

(გაგრძელება იქნება)

შენიშვნა ტენზორისა. ბევრი რამ აკლია ამ წესრიგის აწერილობას და საჭირო იყო, ჩვენის აზრით, შეგსებულიყო მთარგმნელისაგან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეწირულებანი.

I.

მ. რედ.! უმორჩილესად გთხოვთ თქვენი პატივ-ცემული ჟურნალი „მწყემსის“ საშვალებით მადლობა გამოუცხადოთ ჩემის მხრით ᲮᲠᲐᲞᲝᲠᲨᲘᲙᲘᲡ იოსებ გრიგორის ძეს ბაქრაძეს, რომელმაც შემოსწირა რწმუნებულის ჩემდამო ძმუისის შტატის წმიდის გიორგის ეკკლესიას ერთი მაცხოვრის ხატი, ერთი რწყვილი დროშა, ტრაპეზზედ გარდასაფარებელი ფარჩა და ერთი მეტალიჩესკის საცეცხლური.

ᲫᲛᲣᲘᲡᲘᲡ ᲨᲢᲐᲢᲘᲡ ᲬᲛᲘᲓᲘᲡ ᲒᲘᲝᲠᲒᲘᲡ ᲔᲙ. ᲛᲓᲒᲓ. ᲜᲘᲙᲝᲛᲓᲘᲐ ᲒᲐᲬᲔᲓᲠᲨᲘᲚᲘ.

II.

მ. რედ. უმორჩილესად გთხოვთ ნება გვიბოძოთ, რომ თქვენი პატივ-ცემული გაზეთის «მწყემსი“-ს საშვალებით გულითადი მადლობა გამოუცხადოთ როგორც მე, აგრეთვე რწმუნებულმა ჩემდამო სამრევლომ იმ პირთ, რომელთა კეთილ ინებეს და შემოსწირეს რწმუნებულ ჩემდამო ეკკლესიას სხვა-და-სხვა საეკკლესიო ნივთები, აი სია იმ პირთა: რაჟდენ გიორგის ძემ კვირკელიამ და მისმა მეუღლა ელპიდმა ერთი ჩამოსაკიდი კანდელი, ღირებული ორმოცდა-ათ მანეთად, მონაზონმა ᲰᲐᲞᲝᲚᲘᲐᲛ ერთი გარდამოხსნა, ღირებული ოც მანეთათ, შალიკო ივანეს ძე ᲪᲘᲜᲪᲐᲫᲔᲛ ერთი ᲢᲠᲐᲞᲔᲖᲖᲔᲓ დასადები ᲯᲕᲐᲠᲘ, ღირებული ოც მანეთად, და მქვრივმა ლავრენტი მანსვეტოვისა ᲑᲐᲑᲣᲡᲘᲛ მისი ქმრის სულის მოსახსენებლათ ორასი მანეთი ფულად ზარის საყიდლათ.

ᲑᲚᲐᲒᲝᲩᲘᲜᲘ ᲛᲓᲒᲓᲔᲓᲘ ᲙᲝᲜᲡᲢᲐᲜᲢᲘᲜᲔ ᲙᲐᲜᲓᲔᲚᲐᲯᲘ.

III.

მ. რ. უმორჩილესად გთხოვთ თქვენი პატივ-ცემული ჟურნალის «მწყემიი»-ს საშუალებით მადლობა გამოუცხადო ჩემი და ჩემის მრევლის მხრით სოფლის ქოლობნის მცხოვრებს ᲑᲔᲒᲚᲐᲠ Ბ. ᲛᲘᲥᲐᲫᲔᲡ, რომელმაც შემოსწირა რწმუნებულს ჩემდამო ქოლობნის მაცხოვრის ეკკლესიაას ზევით დასაკიდებელი სასანთლე ხომლი, ღირებული 40 მან.

ᲛᲓᲒᲓᲔᲓᲘ ᲢᲐᲢᲘᲐᲜᲔ ᲛᲘᲥᲐᲫᲔ.

IV.

მ. რედ.! უმორჩილესათ გთხოვთ, ნება გვიბოძოთ, რომ თქვენის პატივ-ცემული „მწყემსი“-ს საშუალებით ჩემის და ჩემდამო რწმუნებულის გაენათის მონასტრის ძმათა მხრით დიდი მადლობა გამოუცხადოთ მცხოვრებელს ქ. კურსკს ანნა ივანეს ასულს გლადკოვისას, რომელმაც რწმუნებულს ჩემდამო მონასტერს შემოსწირა ორი სამღვდელო შესამოსელი და ერთი სადიაკონო თვისის ყოველის სამკაულით და სხვა-და-სხვა საეკკლესიო ნივთები, ღირებულნი უმეტეს ორასის მანეთისა, ამას გარდა ამ მონასტრის ძმათ გამოუგზავნა მისის და მისის ნათესავების სულის მოსახსენებელად ფულად სამოცდა ხუთი მანეთი.

ᲒᲐᲔᲜᲐᲗᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲡᲢᲠᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲛᲫᲓᲒᲐᲠᲐ ᲯᲠᲭᲝᲛᲨᲜᲓᲠᲘᲢᲘ ᲡᲔᲠᲐᲤᲘᲛᲘ.

V

მ. რედაქ.! როგორც მე ისე ჩემდამო რწმუნებული პირველტოლის მაცხოვრის ეკკლესიის მრევლი, უმორჩილესად გთხოვთ ნება გვიბოძოთ, რომ თქვენის გაზეთის საშუალებით გულითადი მადლობა მიუძღვნათ ᲮᲣᲠᲝᲗ ᲛᲝᲛᲫᲦᲕᲐᲠᲘ ᲑᲜᲡ ᲡᲔᲠᲒᲔᲘ ᲐᲚᲔᲥ. ᲘᲕᲐᲜᲝᲕᲘᲡ, რომელიც მობრძანდა ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘᲓᲐᲛ ᲩᲕᲔᲜᲡ სოფელში ᲩᲕᲔᲜᲘᲕᲔ გამოწვევით ახლად დაწყებულის ეკკლესიის შენობის შესამოწმებლად და რომელმანც მისდამი კუთვნილი გასამრჯელო ᲮᲣᲗᲘ თუმანი ფული შესწირა ᲩᲕᲔᲜᲡᲐᲕᲔ ეკკლესიას. Ბ. ᲡᲔᲠᲒᲔᲘ ᲐᲚ. ᲘᲕᲐᲜᲝᲕᲘᲡ ᲐᲛ ᲨᲔᲛᲝᲬᲘᲠᲣᲚᲝᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲧᲝᲕᲔᲚᲗᲕᲘᲡ, როდესაც ᲩᲕᲔᲜᲡ ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲐᲨᲘ შესრულებულ იქნება მღვთის-მსახურება, ამა ეკკლესიის კრებულისა და მადრიელი ხალხისაგან ᲔᲥᲜᲔᲑᲐ ᲛᲝᲮᲡᲔᲜᲔᲑᲐ.

ᲗᲐᲕᲘᲡᲛᲯᲓᲝᲛᲐᲠᲔ ᲐᲮᲐᲓᲘ ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲘᲡ ᲐᲓᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘᲡ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲛᲓᲒ. ᲐᲮᲐᲓᲝᲜ ᲡᲣᲠᲒᲣᲚᲐᲫᲔ,

ᲙᲝᲛ. ᲬᲔᲒ. ᲘᲐᲙᲝᲑ ᲪᲮᲕᲘᲠᲐᲕᲐᲨᲕᲘᲚᲘ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რედაქციის პასუხი.

მდ. ბ. ცინ—ძეს. დიდათ გმადლობთ თქვენი გრძნობითი სიტყვისა და წერილისათვის, მაგრამ გამოცემას ვეღარ გიგზავნით უფულოდ. სამი მანეთის შოვნა საძნელო არ არის ეხლა კაცისათვის.

მდ. ს. ცინ—ძეს. თქვენ იწერებით: „ჩემმა . . . . შემიშალა ხელი „მწყემსი“-ს გამოწერაზეო; დამაიმედა, მე გამოგიწერო და აღარ გამოიწერაო. დიაღ, გერწმუნებით. მაგისთანა სამსახურს ბევრი გვიწევს ჩვენ! რა გაეწყობა! იმ ბატონებს ისე სძულთ სინათლე, როგორც ერთ მწერს. მათ ძლიერ ეშინიათ, რომ მათ საქციელს სინათლე არ მიეშუქოს და ყველასთვის ცხადი არ შეიქმნეს დაფარულნი ხაქმენი მათნი...

ჯილდოს შესახებ მკითხველებს. ჯილდო ბევრს გამოუვიდა, მაგრამ იმათში ხართ თქვენც თუ არა, არ ვიცი, ეს თქვენ უკეთ უნდა იცოდეთ. კარგი დრო კი იყო სწორეთ ჯილდოს მიღებისათვის თქვენთვის...

გურულ-მეგრელს. თქვენი სტატია მამასახლისის და „სტრაჟნიკების“ უსაქციელობის შესახებ და კაცის კვლისა არ იბეჭდება. უყურეთ გამოძიებას და რაც აღმოჩნდეს, ის გამოაქვეყნეთ. დღესასწაულობის მოშლა არავის არ შეუძლია. ჩვენში ზნე-დაცემულობის მიზეზი დღესასწაულები არ არის.

განცხადება

დახელოვნებულის მხატვარის იოსებ მალაქიას ძე გაგუნაშვილისაგან.

მაქვს პატივი ვაცნობო პატივცემულს საზოგადოებას, რომ მე, რომელსაც მისწავლია ხატვა ადრეიდგან ჩამოუვანილის კარგის მხატვრისაგან და მაქვს ატესტატიც ამისთანა სწავლისათვის, შეუდეგი ეკლესიების ხატების ხატვას. მინდოდა-რა საზოგადოდ დამტკიცებულიეო ჩემი სელობა, თუ როგორ ვხატავ. ამისთვის ოთვლად სამდვდელო იმერეთის ეპისკოპოსმა ბესარიონმა ჩემი ნახატები: 1) ტეიბულის, 2) გოგნის, 3) სიმონეთის, —ეს სამი ეკლესიების მხატვრობები მიანდო მესამოწმებლათ 1) ქუთაისის სემინარიის რექტორს მ. ბ. ნიამენს, 2) ქუთაისის სიბერეს წინამძღვარს გაბრიელ ცაგარელს, 3) დეკანოზ იოსებ ჭეიშვილს და 4) ჯრუჭის მონასტრის წინამძღვარს ნიკიფორეს. ამ არჩეულმა ბერებმა შემოწმეს ეს ჩემი ნახატი ხატები ეკლესიებისა და დარჩა მოწონებული. ამისათვის კეთილი მობრძანდეთ და ინახულოთ, თუ როგორ ვხატავ ჩემის უბერველესის მხატვრობით იმ ფასებში და იმ სამუალებით, რომელსაც დიდ სასიამოვნოთ მიიღებთ.

ჩემი საბინაო ადგილი ქალაქ ქუთაისში მიხაილოვის ქუჩაზე ქალაქის „უბრალოის“ წინ.

პატივისცემით **იოსებ მალაქიას ძე ბაგუნაშვილი** და **ვლ. მ. ლატი**.

შინაარსი:

სალიტერატურო განყოფილება: ზოგიერთ ჩვენ მოძმეთა საყურადღებოდ.—კერძო სამკურნალო სახლების (ქსენონების) გახსნის შესახებ სოფლებსა და დაბებში.—კიევის მიტროპოლიტიიოანიკე (ნეკროლოგი) .—ქ. შ. წ. კ. გამავრც. საზოგ. გამკეთების ანგარიშიდან ზოგიერთი ცნობები 1899 წ. მოქმედების შესახებ.—დაკარგული ბავშვი.—ახალი ამბები და შენიშვნები.

საჭირო და სასარგებლო ცნობათა განყოფილება: მღვდელთა მსახურების წეს-რიგი მღვდელ-მთავრის წირვაში და სხვა საჭირო ცნობანი სამღვდელო და საეკლესიო მოსამსახურეთათვის, რუს. თარგ. ი. ფანცხავას მიერ.—განცხადება.

რედაქტორ-გამომცემელი დეკ. **დ. ღამბაშიძე.** Редакторъ-Издатель **П. Д. Гамбашидзе.**

Дозволено цензурою, Тифлисъ, 14 Іюня *1900 г.* ✦ *Цензоръ прот. Е. Еліевъ*

Типог. редакціи журн. „Пастырь“ (П. Д. Гамбашидзе) въ Кутаисѣ, въ д. А. Дейсадзе на Нѣмецкой ул.